ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1449265

ნომერი: AR1245512

თარიღი : 20.08.2014

გაცემის თარიღი : 25.08.2014

გაცნობის თარიღი : 25.08.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ილია ვეკუა , N 51 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ გეგუჩაძე პ/ნ 01021004482
- თბილისი საექიმოს შეს. N 2 ბ. 53

ორგანიზაცია:

- სს ''ხალიკ ბანკი საქართველო" კოდი: 205236537

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, სამსახურს პირველი ფოტომონტაჟის მიხედვით, ქუჩის მხარეს ვიტრინის სარეკლამო აბრით გადაფარვა არ მიაჩნია შესაძლებლად, ხოლო რაც შეეხება განათების ბოძზე სარეკლამო აბრის მოწყობას, გაცნობებთ, რომ 2009 წლის 6 თებერვლის #2–4 გადაწყვეტილების თანახმად გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე ქ. თბილისში არსებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვას მარჯვენა სანაპიროზე გასცემს შ.პ.ს "აუთდორ ჯი", ხოლო მარცხენა სანაპიროზე შ.პ.ს "სმოდ ედვერთაიზინგი", გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ "სმოდ ედვერთაიზინგი“–ს (მისამართი: ყიფშიძის ქ. #2).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ატვირთოთ განახლებული ფოტომონტაჟი გაბარიტული ზომებისა და მასალების მითითებით.

გარდა ამისა გაითვალისწინეთ:
1. ვინაიდან საპროექტო დავალება სარეკლამო აბრების მოწყობასთან ერთად ასევე ითვალისწინებს ბანკომატის მოწყობასაც, საჭიროა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და ნომენკლატურაში დამატებით აირჩიოთ „ბანკომატის განთავსება“.
2. თქვენს მიერ ატვირთული ფოტომონტაჟები ფოტოსურათებისგან განსხვავებით არამასშტაბურია (სიგანეში შემცირებულია). აიტვიორთოს განახლებული ფოტომონტაჟები.
3. „ფაილის მიმაგრების ველში აიტვირთოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრესა და მოიჯარეს შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ მე-11 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც იჯარის ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარე არის კერძოს სამართლის ურიდიული პირი და ხელშეკრულება დადებულია 1 წელზე მეტი ვადით, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

აქვე გათვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.